პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 11 აგვისტო, 1944 წ. № 162 (7105). ფასი 20 კაპ.

## საუკეთესოდ მოვუაროთ ჩაის პლანტაციებს

წელს უნდა მივიღოთ ჩაის უხვი მოსავალი, შევასრულოთ გეგმა, მივაღწიოთ მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება მოვლილი ჩაის პლანტაციები. ჩაის პლანტაციების დროულად დამუშავება მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

ბევრგან რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ჩაის მოვლას. მაგალითად, წელს აჭარის ასს რესპუბლიკისა და მახარაძის რაიონში თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს ჩაის პლანტაციების დამუშავება. აქ მთავრდება პლანტაციების პირველი გათოხნა და გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს მეორე გათოხნა.

მაგრამ, როგორც ეს ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შემდგარმა თათბირმა აღნიშნა, ჩაის ბუჩქებს ყველგან გულდასმით როდი უვლიან; ზოგან ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა რიგრიგობით წარმოებას, ვერ ახერხებენ ჩაის კრეფისა და პლანტაციების დამუშავების უნარიანად შეთავსებას. ასეა, მაგალითად, გალის რაიონის მრავალ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. აქ პლანტაციები ბევრგან მოუვლელი და გაუთოხნავია. რაიონის ხელმძღვანელები არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. წულუკიძის რაიონს 1 აგვისტოსათვის პირველი გათოხნის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებული ჰქონდა 19,4 პროცენტით, ხოლო მეორე გათოხნა იქ დაწყებულიც არ იყო. ამის მიზეზი პირველ ყოვლისა ის არის, რომ დაბალია შრომის დისციპლინა, ხოლო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ცოტას აკეთებენ ჩაის სამუშაოებზე მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის გამოსაყვანად. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოთარაში" 23,5 ჰექტარი პლანტაცია ისეა ბალახით დაფარული, რომ ჩაის ბუჩქი არა სჩანს. წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 18 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ეკალ-ბარდმა დაფარა. ჩაის პლანტაციებს სათანადოდ არ უვლიან ქუთაისის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ზუგდიდის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

პლანტაციების დამუშავების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ჩაის საბჭოთა მეურნეობებშიც. მოუვლელობის გამო ათეულ ჰექტარობით ჩაის ბუჩქი დაფარულია ბალახით. საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი (დირექტორი ამხ. ა. ჯიქია) არასაკმაოდ ხელმძღვანელობს საბჭოთა მეურნეობებს. ტრესტი ვალდებულია ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს საბჭოთა მეურნეობებს და სასწრაფო ზომები მიიღოს ჩაის პლანტაციების დამუშავებაში გარდატეხის მოსახდენად. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ საბჭოთა მეურნეობებს.

ჩვენს წინაშე ამჟამად დგას ამოცანა: ჩაის კრეფის ტემპების გაძლიერებასთან და ფოთლის ხარისხის ამაღლებასთან ერთად, ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ პლანტაციების მოვლა. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მუშახელის სწორად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ჩაის პლანტაციებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს განთიადიდან დაღამებამდე, შორეულ ნაკვეთებზე საჭიროა ღამის გასათევი ბინების მოწყობა, მუშებმა და კოლმეურნეებმა, რომ მისვლა-მოსვლაზე დიდი დრო არ დახარჯონ. საჭიროა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმა ჩაის კრეფისა და გათოხნის სამუშაოებში. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ **აგვისტოში დამთავრდეს ჩაის პლანტაციების როგორც პირველი, ისე მეორე გათოხნა.** მთელი მუშახელი, რომელიც დღემდე სიმინდის თოხნაზე მუშაობდა, გადაყვანილ უნდა იქნას ჩაის პლანტაციების თოხნაზე.

სარეველა ბალახები ჩაის ბუჩქების უდიდესი მტერია და მათ დიდ ზიანს აყენებენ. მაშასადამე, ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მისაღებად პლანტაციები სუფთა და გაფხვიერებულ მდგომარეობაში უნდა ვიქონიოთ. ამხანაგი **ლ. პ. ბერია** გვასწავლის; „ჩაის პლანტაციები მოითხოვენ ყოველდღიურ მზრუნველობას, აგროწესების ყველა პუნქტის მტკიცედ შესრულებას და, რაც ყველაზე მთავარია, მათს თავის დროზე გამოყენებას. **არცერთ დღეს არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი მდგომარეობა, რომ პლანტაციები მოუვლელი დარჩეს**". ამხანაგ ლ. პ. ბერიას ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

მეტ მზრუნველობას მოითხოვს ჩაის ბუჩქების დაცვა მავნებლებისაგან. ბევრგან უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე ჩაის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა შესუსტეს. მოუვლელობით დასუსტებულ ბუჩქებზე მავნებლები უფრო ვრცელდებიან და საგრძნობ ზიანს აყენებენ მათ. საქართველოს სსრ მიწსახკომმა და რაიმიწგანებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შემდგარმა თათბირმა მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა ჩაის კრეფისა და მოვლის გასაუმჯობესებლად. საჭიროა განუხრელად შევასრულოთ ეს ღონისძიებანი, ჩაის პლანტაციები დავამუშაოთ დროულად და მაღალხარისხოვნად.

აუცილებელია პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოწინავე კოლმეურნეობების გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. ამ მხრივ დიდი ამოცანები აქვს დაკისრებული აგრეთვე რაიონულ პრესას. იგი მოვალეა გამოავლინოს ნაკლოვანებანი ჩაის მოვლის დარგში, იბრძოლოს მათი გამოსწორებისათვის, განაზოგადოს და უჩვენოს წარჩინებული ადამიანების მუშაობის ხერხები და მეთოდები. ამას უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული, სისტემატური და არა კამპანიური ხასიათი.

მოწინავე კოლმეურნეობების, ბრიგადების, საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების გათვალისწინებით,, ჩამორჩენილთადმი დახმარებით უზრუნველვყოთ ჩაის პლანტაციების სანიმუშო მოვლა, მოვიყვანოთ უხვი მოსავალი, რომელსაც ჩვენგან მოითხოვენ ფრონტი და სამშობლო!

## ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ს. მიკოლაიჩიკი

**მოსკოვი,** 9 აგვისტო (საკდესი). 9 აგვისტოს პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლებმა ბ-ნმა ს. მიკოლაიჩიკმა, ს. გრაბსკიმ, ი. რომერმა გამოსათხოვარი ვიზიტი გაუკეთეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

საუბარში მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### რიონჰესის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რიონჰესის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლოატაციაში გაშვებიდან 10 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით რიონჰესის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რიონჰესის ექსპლოატაციის პერიოდში:

1. გობიანი სერგი ისიდორეს-ძე
2. დოლიძე ნიკოლოზ ივანეს-ძე
3. ვაშაკიძე ივანე ილარიონის-ძე
4. კვანტალიანი გიორგი ვლადიმერის-ძე
5. კობახიძე ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე
6. ლანჩავა ერისტო ვარლამის-ძე
7. ულენტი მიხეილ სისოს-ძე
8. ხანიკიძე ნიკოლოზ მიხეილის-ძე
9. სახამბერიძე ტარასი მოსეს-ძე
10. შანიძე შარდენ პავლეს-ძე
11. ძიძიგური იპოლიტე ყარამანის-ძე
12. წოწონავა რაჟდენ ივანეს-ძე
13. ჭარხალაშვილი ანდრია აბესალომის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1944 წ. 9 აგვისტო. ქ. თბილისი.

## პარტიზან დ. ი. ბაქრაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა

### (მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მტრის ზურგში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის და უკრაინაში პარტიზანული მოძრაობის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა** და **ლენინის ორდენი** და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი"** გადაეცა უკრაინის სს რესპუბლიკის 11 მეთაურ პარტიზანს. მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა დავით ილიას ძე ბაქრაძეს.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 9 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

9 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცის) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის პოლვარკა, ზარიმ, მაური, პურნავიეში, ლიაუდონა.

ქალაქ დაუგავპილსის (დვინსკის) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 250-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მენტიე, ზადინანი, ვაგალი, კალნარაცეკი, უჟუგალია, ნერეტა, ალოტინი, ცეკური, ოზოლი და რკინიგზის სადგურები ბერზგალე, ნერეტა, რემპი, ლონსი.

ქალაქ იელგავის (მიტავის) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის აუსატე, ბენე, ვეგერიაი, მანგაიჩანი, კრუოპიაი და რკინიგზის სადგურები აბგულდე, პენკულე, ბენე.

ქალაქ მარიამპოლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ქალაქ სედლეცის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეტევა განაახლეს და დაიკავეს ქალაქები სოკოლუვ-პოდლიასკი, ვენგროვი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბიალობჟეგი, სეროჩინი, გილიარუვი, ვულკა მეძინსკა, ხმელუვი, რუხნა, კრიპი, სოგონი, იანუვეკი, იავორეკი და რკინიგზის სადგურები კოსტკი, სოკოლუვ-პოდლიასკი.

ქალაქ სანდომირის დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ქალაქ დროგობიჩის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს დროგობიჩის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი სტარი სამბორი, ქალაქი სკოლე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სტარიავა, გორნი და დოლნი ბილიჩი, ტერშუვო, ზვური, ოპაკა, სხოდნიცა, სტარი და ნოვი კროპივნიკი, რიბნიკი, ბუაზა და რკინიგზის სადგურები კონიუხუვი, ლიუბენცე, სკოლე.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

8 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 120 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 38 თვითმფრინავი.

### 10 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

10 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცის) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის არკალნი, აიზკუია, აუგული, ზრეტანი, ჟივენესი, იაუნზემი და რკინიგზის სადგური ძელზავა.

ქალაქ კრუსტპილსის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ლატვიის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი ქალაქი ეკაბპილსი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბროდი, ბირჟი, მიტელანი, ვიესიტე, ზრანზალი, სკრუძი, როცენი, აპალი და რკინიგზის სადგურები დაუგავა, ალდაუნე, ვიესიტე, ვარნავა.

ქალაქ კაუნასის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ლიტვის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი ქალაქი რასეინიაი (როსიენი), აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის კატუზინი, ლოტინიშკი, პომიტუვე, რაუდანი, ბლოგოსლავენსტვო, მისურკა, აშმუცე, ვალიულე.

ქალაქ მარიამპოლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ქალაქ ბელოსტოკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მდინარე ნარევი გადალახეს და ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვანევო, კოვალევშჩიზნა, სტარაია და ნოვაია ლუპიანკა, იაგლონოვო, ლიახი, დრონბი, ზდროდი და რკინიგზის სადგურები რატიბორი ნოვიე, სოკოლი.

ქალაქ სედლეცის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სტერდინი, ჟელეზნიკი, ლივე, ჩერვონკა, სკაშინი, ჩარნოგლუვი, სტანისლავოვი.

ქალაქ სანდომირის დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლებს მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პენჩინი, გოიცუვი, ბრატკუვი, მოდლიბოჟიცე, ივანისკა, ბაცკოვიცე, პიურკუვი, ლაგუვი, სადკუვი, რადოსტუვი, რაკუვი, ხანჩა და რკინიგზის სადგურები ვოლია მალკოვსკა, რაკუვეკ.

ქალაქ დროგობიჩის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევენ მტრის წინააღმდეგობას და საინჟინრო ღობურებს კარპატის მთების ძირში, ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს დროგობიჩის ოლქის რაიონული ცენტრი პოდბუჟი, აგრეთვე დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლისკოვატე, კროსციენკო, ვოლოშინოვო, ლავროვი, ტოპოლნიცა, ტუხე, ლასტუვკი, იასიონკა მასიოვა და რკინიგზის სადგურები კროსცენკო ტოპოლნიცა.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

9 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 199 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 61 თვითმფრინავი.

⁂

ქალაქ კრუსტპილსის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც ტყიანი და ჭაობიანი ადგილის ძნელ პირობებში მოქმედებენ, წინ წაიწიეს 15 კილომეტრით და დაიკავეს ქალაქი ეკაბპილსი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები. ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ღამით მოახდინეს შემოვლითი მანევრი და უკანდასახევი გზა მოუჭრეს გერმანელთა ჯგუფს. სწრაფი დარტყმებით მტერი მივრეკეთ მდინარე ზაპადნაია დვინასთან და მოვსპეთ. ბევრი გერმანელი დაიხრჩო.

* * *

ქალაქ კაუნასის (კოვნოს) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი სატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილები შეიჭრნენ ქალაქ რასეინიაის სამხრეთ გარეუბნებში. სხვა ჩვენი ნაწილები ქალაქში აღმოსავლეთიდან შეიჭრნენ. მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალები არტილერიისა და ავიაციის დახმარებით რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშებზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ქუჩებში მრავალი საათის ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს გზატკეცილების დიდმნიშვნელოვანი კვანძი—ქალაქი რასეინიაი, მოსპობილია გერმანელთა 10 ტანკი, 3 საარტილერიო და 4 სანაღმტყორცნო ბატარეა. ხელთ ვიგდეთ ბევრი დავლა და ტყვე.

* * *

ქალაქ მარიამპოლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშების მოგერიებას. მთელი დღის განმავლობაში მტრის ტანკების, თვითმავალი ქვემეხებისა და ქვეითი ჯარის დიდ ჯგუფებს, ავიაციის საფარქვეშ, იერიში მოჰქონდათ ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა ნაწილები მძლავრი ცეცხლით უკუაგდებდნენ მოწინააღმდეგეს და მძიმე ზარალი მიაყენეს მას. ერთ უბანზე ჩვენმა დაზვერვამ თავის დროზე აღმოაჩინა მტრის ჯარების შეჯგუფება. როცა გერმანელები იერიშზე წამოვიდნენ, საბჭოთა ტანკისტებმა უეცრად დაარტყეს მათ. ჰიტლერელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს თავიანთი ჯარისკაცების და ოფიცრების ასობით გვამი, ათობით დამწვარი ტანკი, თვითმავალი ქვემეხები და უკან დაიხიეს. ჩვენმა ჯარებმა დღის განმავლობაში გაჟლიტეს 1.700 ჰიტლერელი, დასწვეს და დააზიანეს 100-მდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 7 ჯავშანტრანსპორტიორი და 140 ავტომანქანა.

ჩვენი ავიაცია წარმატებით საჰაერო ბრძოლებს ეწეოდა და ურტყამდა მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარებს. ჩამოგდებულია გერმანელთა 24 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ბელოსტოკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა მდინარე ნარევის დასავლეთ ნაპირზე, განავითარეს შეტევა და წინ წაიწიეს 15-მდე კილომეტრით. გერმანელები, საბჭოთა ნაწილების დარტყმების გამო უკანდახევისას, ნაღმავენ გზებს და აფეთქებენ ხიდებს. ჩვენი ქვეითი ჯარისა და არტილერიის მოძრავი რაზმები კვალდაკვალ სდევენიან მტერს, არ აძლევენ საშუალედო ზღუდეებზე გამაგრების საშუალებას. ნ შენაერთის ნაწილებმა სამ დღეში დასწვეს და დააზიანეს გერმანელთა 73 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ამავე ხნის განმავლობაში მტერმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 4.400 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 2 ორთქლმავალი, 62 ვაგონი ტვირთიანად, დიდი საწყობი ორთქლმავლის სათადარიგო ნაწილებიანად, მტრის დიდძალი საჭურველი და საომარი მასალა.

* * *

ქალაქ სანდომირის დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 10 კილომეტრით და დაიკავეს გერმანელთა რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. გაჟლეტილია 1.000 ჰიტლერელი, დამწვარია მოწინააღმდეგის 15 ტანკი, ტყვედ წამოვიყვანეთ 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა ჯარებმა სამხრეთიდან და დასავლეთიდან შემოუარეს ქალაქ სანდომირს და ბრძოლებს ეწევიან გერმანელთა თავდაცვის ამ ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტის მისადგომებზე. ჩვენმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ მოიგერია მოწინააღმდეგის 6 კონტრიერიში და მოსპო გერმანელთა 18 ტანკი.

* * *

8 აგვისტოს ღამით წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტორპედოსანმა თვითმფრინავმა (მფრინავი კაპიტანი მერკულოვი) ტორპედო ისროლა და ჩასძირა ფინეთის ყურეში მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 8 ათასი ტონა წყალწყვისა.

* * *

საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც კარპატისპირა რაიონებში მოქმედებენ, ამ უკანასკნელ ხანს მძიმე დამარცხება მიაყენეს უნგრელთა ჯარებს და ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე. უნგრელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები თვითონ გადმოვიდნენ წითელი არმიის მხარეზე. უნგრელთა მე-18 ქვეითი დივიზიის 49-ე პოლკის მე-6 ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა იანოშ იმრემ, რომელიც ნებაყოფლობით დაგვნებდა ტყვედ, განაცხადა: „უკანასკნელ ბრძოლებში ჩვენ დიდი ზარალი მოგვივიდა. მე არა მსურდა მსხვერპლად მიმეტანა ჩემი ასეულის ნაშთები გერმანელების გულისათვის, რომლებმაც მოახდინეს ჩემი სამშობლოს — უნგრეთის ოკუპაცია. ჩემი ბრძანებასამებრ 54 ჯარისკაცმა იარაღი დაჰყარა და ტყვედ დანებდა. მგონია არც ერთი ჩემი ბრძანება ისე ხალისით არ შეუსრულებიათ ჯარისკაცებს, როგორც ეს".

უნგრელთა მე-10 ქვეითი პოლკის 1-ლი ბატალიონის ტყვე სერჟანტმა ლაიოშ კადარმა განაცხადა: „რუსების მოძალების გამო უკანდახევისას, ჩვენ მოულოდნელად შევხვდით ათ წითელარმიელს. უფროს ლეიტენანტ იუხასის ბრძანებით, მთელი ბატალიონი, 300-კაცის რიცხვით, ტყვედ დანებდა ათ საბჭოთა ჯარისკაცს".

უნგრელთა მე-11 ქვეითი პოლკის ალალის ტყვე სერჟანტმა პეტერ ხანტოშიმ განაცხადა: „რუსების ორი ტანკი დაეწია ჩვენს ალალს. რუსების ოფიცერმა — ტანკისტმა წინადადება მოგვცა დავნებებულიყავით. ალალში 300-ზე მეტი კაცი იყო. მთელი ალალი უფროს ლეიტენანტ ბიხარის მეთაურობით ტყვედ დანებდა ისე, რომ ერთიც არ გაუსროლია. ჩვენ გადავეცით რუსებს 300 საზიდარი ტვირთიანად".

ტყვედ დაგვნებდა მთელი შემადგენლობით უნგრელთა 26-ე პოლკის მე-3 ასეული. ასეულს მაღლობზე ეკავა პოზიციები. როცა უმცროსმა ლეიტენანტმა ტიბორ კანცმა შეამჩნია, რომ მათ უახლოვდებოდა საბჭოთა მეომრების ჯგუფი, ბრძანება გასცა თეთრი ალმის გაშლის შესახებ. 90 უნგრელი ჯარისკაცი წამოყვანილია ტყვედ.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის ტერიტორიაზე დანაშაულობათა ჩადენის გამო მსჯავრდადებული პოლონელი მოქალაქეებისათვის ამნისტიის მინიჭების შესახებ

პოლონეთის ტერიტორიაზე წითელი არმიისა და პოლონეთის არმიის ნაწილების შესვლის აღსანიშნავად, რამაც საფუძველი ჩაუყარა პოლონელი ხალხის განთავისუფლებას გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან, მიენიჭოს ამნისტია სსრ კავშირის ტერიტორიაზე დანაშაულობათა ჩადენისათვის მსჯავრდადებულ ყველა პოლონელ მოქალაქეს, გარდა იმ პირთა, რომელთაც ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობანი (ჯაშუშობა, [illegible] მკვლელობა).

გავრცელდეს ამ ბრძანებულების მოქმედება ზემოთ გათვალისწინებულ დანაშაულობებში პოლონელ მოქალაქეთა ბრალდების გამო საქმეებზე, რომლებიც ამ ბრძანებულების გამოცემის მომენტისათვის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების წარმოებაში იმყოფებიან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**
მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 10 აგვისტო.

## მოსკოვიდან გაემგზავრნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას (პოლონეთის ნაციონალური საბჭოს) თავმჯდომარე ბ-ნი ბ. ბერუტი და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი

9 აგვისტოს მოსკოვიდან გაემგზავრნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას (პოლონეთის ნაციონალური საბჭოს) თავმჯდომარე ბ-ნი ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ე. ოსუბკა-მორავსკი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ა. ვიტოსი, პოლონეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მ. როლია-ჟიმერსკი და სხვები.

მოსკოვის აეროდრომზე ბ-ნი ბ. ბერუტი, ე. ოსუბკა-მორავსკი და მათი თანმხლები პირები გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ევროპის მე-4 განყოფილების გამგემ ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ი. ფომინმა, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსმა გენერალ-მაიორმა ვ. ნ. ევსტიგნეევმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა კ. რ. სინილოვმა და სხვებმა.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

## ყ. დიკომბაევი—ყირგიზეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

**ფრუნზე,** 9 აგვისტო (საკდესი). ყირგიზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ყაზი დიკომბაევი დაინიშნა ყირგიზეთის სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

## ვისლას გაღმა

**უკრაინის პირველი ფრონტი,** 10 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). ახლა პოლონეთში უნდა იყო, რომ ნახო, მადლობის რა წრფელი გრძნობით მიესალმებიან პოლონელები საბჭოთა ჯარებს.

ვისლისაკენ რომ მივდიოდით, მრავალი დასახლებული პუნქტი გავიარეთ და ყველგან მოწმე ვიყავით მოსახლეობის დაუვიწყარი აღფრთოვანებული შეხვედრებისა წითელ არმიასთან. ჩვენს მებრძოლებს სთავაზობენ ყვავილებს, უმასპინძლდებიან ხილით, ეხვევიან და კოცნიან, როგორც ღვიძლ ძმებს. წყნარი პროვინციული იაროსლავის ქუჩებში სიხარულის ალტაცება სუფევს. ასობით ქალაქელი გამოვიდა ცენტრალურ მოედანზე, სადაც დღეს პოლონელი ხელისუფალნი მართავენ მიტინგს, რომელსაც „განთავისუფლების დღესასწაული" ეწოდა.

ჟეშუვი თითქმის ისეთივე დიდი ქალაქია, როგორც ჩვენი ლვოვი. მცხოვრებნი მჭიდრო მწკრივებად დგანან ქვაფენილებზე და მიესალმებიან მიმავალ საბჭოთა ტანკებს. ქალაქის თვითმართველობის შენობას უკეთებენ მოკავშირე სახელმწიფოთა — პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის, ინგლისის ალმებს.

ლეჟაისკში ცენტრალური ქუჩის გარდიგარდმო გაკეთებულია ლოზუნგი: „დიდება სტალინს".

ქალაქის განაპირას მცხოვრებთა ჯგუფი გარშემოერტყა ტყვე გერმანელებს, რომელნიც ბადრაგებს ჩვენს ზურგში მოჰყავთ. პოლონელთა მწკრივებიდან მრისხანე სიტყვები ისმის ჰიტლერელთა მისამართით.

— რომ იცოდეთ როგორ შეგვძაგდნენ ისინი, — გვეუბნება ქალარა პოლონელი ვიტოლდ ბუსლევიჩი. გერმანელთა ბატონობის ეს წლები საუკუნედ გვეჩვენებოდა.

განთავისუფლებული პოლონეთი წელში იმართება, უკვე ლაღად სუნთქავს. ქალაქებში მაღაზიები იღება, მუშაობას იწყებენ პირველი საწარმოები.

დაბა რუდნიკში ჩვენ ვნახეთ, როგორ მოჰყავდათ წესრიგში მუშებსა და მოსამსახურეებს ქარხანა, რომელშიც გადაწყვეტილია მოეწყოს პირველი საჭიროების საგნების წარმოება.

წითელმა არმიამ, რომელიც სწრაფად გაიჭრა ვისლის ნაპირებისაკენ, პოლონელებს გადაურჩინა მარჯვენა ნაპირის ქალაქები. სუკოლუვთან მშვენიერ ფიჭვნარში იყო რიბენტროპის ერთ-ერთი პოლონური მამული. იგი რამდენჯერმე ჩამოსულა აქ სანადიროდ. ახლა ეს აგარაკი ჩვენი ჯარების ზურგშია.

დაბა დემბაში ჩვენ ვნახეთ გერმანელთა ვებერთელა სამხედრო ბანაკი, მტრისაგან დატოვებული. მას რამდენიმე კვადრატული კილომეტრი უკავია. აქ არის სასამსახურო ქვიტკირის შენობები, ოფიცერთა კოტეჯები, ჯარისკაცთა ბარაკები, საწყობები, გარაჟები, თავლები. ჩვენმა ჯარებმა მარტო აქ ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 30-მდე საწყობი საომარი ქონებით, სურსათითა და საწვავით. შევდივართ ოფიცერთა ერთ-ერთ სახლში. ფანჯრებს ჩამოფარებული აქვს სანიღბავი ქაღალდი. მაგიდაზე ვახშმის ნაშთებია. განჯინების კარები გაღებულია და საოჯახო ნივთები უწესრიგოდ ყრია იატაკზე.

— ისინი ღამით წამოშალეს განგაშით, — გვიამბობს ადგილობრივი მცხოვრები ვლადისლავ პშეპრეკი. — ყოველი მათგანი ცდილობდა ავტომანქანაში ჩაეტანა რაც შეიძლება მეტი პირადი ნივთი. საბჭოთა ტანკები აქ იმ მომენტში შემოიჭრნენ, როცა გერმანელებს სურდათ ცეცხლი წაეკიდებინათ საწყობებისათვის.

ჩვენ დავესწარით ვისლიდან წამოყვანილი ბევრი გერმანელი სამხედრო ტყვის დაკითხვას. ისინი ერთხმივ ამბობენ, რომ გერმანიის არმიას თავს დაატყდა კიდევ ერთი საბედისწერო მოულოდნელობა. გერმანელთა სარდლობა დარწმუნებული იყო, რომ ჩვენს შეტევას შეაჩერებდა ჯერ კიდევ ვისლის მარჯვენა ნაპირზე და ამრიგად დრო ექნებოდა, რომ საიმედოდ გაემაგრებინა მარცხენა ნაპირი. წითელმა არმიამ ამჯერადაც ჩაშალა მოწინააღმდეგის გეგმები. ვისლაზე კიდევ უფრო მეტი ულმობელობით განმეორდა დონი და დნეპრი.

ვისლას გაღმა გაჩაღებულია ბრძოლები.

## უკანასკნელი ცნობები

### ჩერჩილისა და რუზველტის ერთობლივი განცხადება წყალქვეშა ომის მსვლელობის შესახებ

**ლონდონი,** 10 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ჩერჩილისა და რუზველტის ერთობლივ განცხადებას წყალქვეშა ომის მსვლელობის შესახებ. როგორც ამ განცხადებაში აღნიშნავენ, ომის განმავლობაში ჩაძირულია გერმანელთა 500-ზე მეტი წყალქვეშა ნავი.

ივლისში ჩაძირული მტრის წყალქვეშა ნავების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მათ მიერ ჩაძირული სავაჭრო გემების რაოდენობას.

განთავისუფლების არმიის გადასხმის მომენტიდან ჩაძირულია 17 წყალქვეშა ნავი, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ლა-მანშზე მოკავშირეთა საზღვაო ძალების მიმოსვლისათვის. მტრის წყალქვეშა ფლოტს ჯერ კიდევ მოეპოვება მნიშვნელოვანი სიმძლავრე. მაგრამ ყველა ფრონტზე წყალქვეშა ნავები უფრო დევნილი არიან, ვიდრე მადევრები.

წინანდებურად ერთობ გაზვიადებულია ნაცისტების ცნობები მათ მიერ ჩაძირული გემების რაოდენობის შესახებ. მაგალითად, ივნისის — უკანასკნელი თვის, რომლის შესახებაც სრული ცნობები მოიპოვება, — ციფრები, რომლებიც მათ მოჰყავთ, გაზვიადებული იყო ერთიათად.

### პავლოვისა და კორნილოვის განთავისუფლება

**ანკარა,** 8 აგვისტო (საკდესი). დღეს პავლოვი და კორნილოვი გამოუშვეს საპატიმროდან, სადაც ისინი მოთავსებული იყვნენ თურქეთის სასამართლოს განაჩენით, რომელიც მან გამოიტანა ჰიტლერელ ელჩ ფონ პაპენზე ეგრეთწოდებული „თავდასხმის" საქმის გამო.

### ბრძოლები იუგოსლავიაში

**ჟენევა,** 10 აგვისტო (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ სერბიასა და ჩერნოგორიაში მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ჩერნოგორიაში დაკავებულია ქალაქი პლავი, ცენტრალურ ბოსნიაში — ქალაქი პრნიავორი.

ლესკოვაცის დასავლეთით გრძელდება გააფთრებული ბრძოლები ბულგარელთა დიდ ძალებთან.

მაკედონიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა გადალახეს იუგოსლავია — საბერძნეთის საზღვარი და ბერძენ პარტიზანთა ნაწილებთან ერთად შეიჭრნენ ქალაქ ედესაში (ვოდენა) — საბერძნეთის მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძსა და დიდ სამრეწველო ცენტრში.

### ინგლის-ამერიკის შეთანხმება ნავთის საკითხებზე

**ვაშინგტონი,** 10 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელით სტეტინიუსმა და ინგლისის სახელით ბივერბრუკმა 8 აგვისტოს ხელი მოაწერეს ინგლის-ამერიკის შეთანხმებას ნავთის საკითხებზე. ეს შეთანხმება აღიარებს „კონცესიათა შეძენის საქმეში სხვადასხვა შესაძლებლობათა პრინციპს", აგრეთვე ითვალისწინებს „არასაჭირო შეზღუდვებისაგან ნავთის წარმოებისა და განაწილების" განთავისუფლებას. შემდეგ შეთანხმება ითვალისწინებს ნავთის კომისიის შექმნას, რომელიც შედგენილი იქნება ორივე მთავრობის წარმომადგენლებისაგან.

სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ შეთანხმება ძალაში შევა იმის შემდეგ, რაც ორივე მთავრობა ერთმანეთს აცნობებს, რომ ისინი მზად არიან განახორციელონ იგი პრაქტიკულად.

### ჩაბნელება თურქეთის ქალაქებში

**ანკარა,** 10 აგვისტო (საკდესი). ანკარაში, იზმირსა და სტამბოლში სავალდებულო შუქშენიღბვის შესახებ დადგენილება ვრცელდება აგრეთვე იზმიდსა და ედირნეზე. ანკარაში ღამით მიმოსვლა ქალაქის ფარგლებში შეზღუდული იქნება.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

პარასკევი, 11 აგვისტო, 1944 წ. № 162 (7105).

# საბჭოთა კავშირის გმირები

## დ. ი. ბაქრაძე

სახალხო შურისმგებელმა დავით ილიას-ძე ბაქრაძემ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიიღო.

დავით ბაქრაძე იბრძვის პარტიზანთა იმ ჯგუფში, რომელსაც ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ს. ა. კოვპაკი მეთაურობს. 1943 წლის ზაფხულში პარტიზანთა ამ ჯგუფმა კოვპაკის მეთაურობით მოაწყო რეიდი მტრის ღრმა ზურგში. ამ რეიდს სტალინური რეიდი ეწოდა. პარტიზანები გაემართნენ კარპატებისაკენ, მათ გადალახეს ოკუპანტების მიერ დაკავებული 13 ოლქი, მიაღწიეს დროგობიჩის ნავთის რაიონს, ააფეთქეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ამ რაიონის ნავთის სარეწები, ქარხნები და მაღაროები, რომლებიც საწვავს აწვდიდენ ჰიტლერელებს, გაანადგურეს მტრის დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

აქ, დროგობიჩის რაიონში, რომელიც ახლა, ერთი წლის შემდეგ, გაათავისუფლა წითელმა არმიამ, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პარტიზანთა ასეულის მეთაურმა დავით ბაქრაძემ.

კარპატების მისადგომებზე ჰიტლერელებმა ყველა ზომები მიიღეს დროგობიჩისაკენ გზა გადაეჭრათ პარტიზანებისათვის. ამ გზის გადასაჭრელად ყოველი მხრიდან მიეშურებოდნენ პოლიციელთა პოლკები და ბატალიონები. ერთ-ერთ სოფელში ჩასაფრებული იყო სს-ელთა პოლკი, რომელიც პარტიზანების მიახლოებას ელოდა. ამ პოლკის განადგურება კოვპაკმა ბაქრაძეს და მატიუშენკოს მიანდო.

ბაქრაძისა და მატიუშენკოს პარტიზანები შეუმჩნევლად შემოერტყნენ გარს ამ სოფელს და მოულოდნელი თავდასხმით შიშის ზარი დასცეს მტრის გარნიზონს. მძინარე ჰიტლერელები გააღვიძა სროლის ხმაურმა. ისინი გამორბოდნენ ქუჩებში საცვლების ამარა და აქეთ-იქით აწყდებოდნენ თავშესაფარის ძებნაში. ბაქრაძე მათ უკანიდან მიერეკებოდა, ხოლო მატიუშენკოს მებრძოლები ტყვიებით უხვდებოდნენ. ბაქრაძისა და მატიუშენკოს მებრძოლებმა გაანადგურეს მთელი გარნიზონი და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა.

რამდენიმე თვის წინათ დავით ბაქრაძე დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

**ნინო ილოშვილი**

## ს. გ. ჭილლაძე

ეს იყო ზამთარში. ერთ-ერთმა წითელარმიულმა გაზეთმა მოათავსა ს. ჭილლაძის სურათი ასეთი წარწერით: „ერთი სოფლის აღებისას ასეულის ფლანგზე თავისი ტყვიამფრქვევით დაწინაურდა ს. ჭილლაძე და ზუსტი ცეცხლით მოსპო 10 ჰიტლერელი. ბრძოლის ველზე მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის მეტყვიამფრქვევე ს. ჭილლაძე დაჯილდოებულია ორი მედლით „მამაცობისათვის“.

ამხ. ჭილლაძის გმირობასა და თავდადებაზე არა ერთგზის სწერდა საფრონტო გაზეთი. დაუნდობლად ჟლეტდა გერმანელ ყაჩაღებს სერგო. მისი ტყვიამფრქვევი აუცდენლად და გამანადგურებლად ურტყამდა მიზანს, იგი ტყვიის სეტყვას აყრიდა მტერს.

1944 წლის თებერვლის სუსხიანი დღე იყო. ჩვენი ჯარები მტერს უტევდნენ. ერთი სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში სერგო გმირის სიკვდილით დაეცა. 6 [illegible] ნაწილებისადმი ბრძანებით 1944 წლის 12 თებერვალს ამხ. ს. ჭილლაძე დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის უმცროს სერჟანტ სერგო გედეონის-ძე ჭილლაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სერგო გედეონის-ძე ჭილლაძე დაიბადა 1923 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. შემდეგ მონტიორობა შეისწავლა და ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში მუშაობდა. 1942 წლის იანვარში სერგო წითელ არმიაში გაიწვიეს. იგი მალე მეტყვიამფრქვევე გახდა. მისი ტყვიამფრქვევი რისხვა იყო გერმანელი ყაჩაღებისათვის.

**პ. ჭიოკაძე**

# მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს XVII სესია

7 აგვისტოს შედგა მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს XVII სესია.

სესიამ განიხილა რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის ამხ. გ. საჯაიას მოხსენება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ამხ. ლ. კალანდაძე, ა. მახარაძე, ნ. იობაშვილი, გ. სულაქველიძე, აგრეთვე ექიმი ამხ. ე. ცინცაძე, 42-ე ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ა. გაჩეჩილაძე, ფინგანის გამგე ამხ. ს. პაპავა და სხვები.

მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სკოლებში მიზიდვის და ინვენტარის შეკეთების დარგში. მაგალითად, ჩატარებული აღრიცხვის მასალებით რაიონში 7 წლის ასაკის ბავშვთა რიცხვი ათასსაც ვერ აღწევს, ეს მაშინ, როდესაც პირველ დღეებში უკვე 1.000-მდე ბავშვმა შემოიტანა განცხადება რაიონის სკოლებში მიღების შესახებ. გეგმით გათვალისწინებული 1.500 მერხის ნაცვლად 5 აგვისტოსათვის შეკეთებული იყო მხოლოდ 733. 30 პროცენტით არის შესრულებული მაგიდების, სკამების, დაფებისა და სხვა ინვენტარის რემონტის გეგმაც.

ახალი სასწავლო წლის სრული მზადყოფნით შეხვედრისათვის სესიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

# გამოუშვეთ მეტი ფართო მოხმარების საქონელი

## (საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სხდომაზე)

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვებები მოიპოვეს და გეგმა 129,4 პროცენტით შეასრულეს.

ნახევარი წლის მანძილზე სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა მუშაობის შედეგების განსახილველად და აგრეთვე გაფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა გასაუმჯობესებლად ამას წინათ მოწვეულ იქნა სარეწაო საბჭოს სხდომა, რომელმაც მოისმინა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. შ. აბაიშვილის და სარევიზიო განყოფილების უფროსის ამხ. გ. კავილაძის მოხსენებები.

მომხსენებელმა ამხ. შ. აბაიშვილმა აღნიშნა, რომ სარეწაო კოოპერაციის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებანი. მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებას აწარმოებენ, ჩამორჩენ.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა კუპუხიძემ (საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი) გელაშვილმა, რუდნიკმა, რამიშვილმა, ბალათურიამ, წულაძემ, ფრუიძემ, და სხვ. გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი ნედლეულიდან ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდა, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და შემცირდეს თვითღირებულება.

ამხ. გ. კავილაძის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რევიზიების გახშირებისა და კონტროლის გაძლიერების შედეგად სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შესამჩნევად იკლო გაფლანგვების შემთხვევებმა.

განხილულ საკითხებზე მიღებულია პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც დავალებული აქვს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პრეზიდიუმს.

სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობის დარგში ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კ. თარგამაძემ.

# „ჯურღაის ფარი“

## (მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„პრავდაში“ გამოქვეყნებულია წერილი, რომელიც მიძღვნილია თბილისის კინოსტუდიის ახალი ნაწარმოებისადმი — „ჯურღაის ფარი“. წერილში აღნიშნულია, რომ სცენარის ავტორები და რეჟისორები არ დაკმაყოფილდნენ რაინდ ჯურღაის შესახებ ძველი ლეგენდის შინაარსის გადმოცემით. მათ შესძლეს გაეხსნათ ამ ლეგენდის ღრმა ეთიკური, მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობა და დაუკავშირეს იგი ჩვენს თანამედროვეობას, კავკასიის გმირული დაცვის დიად, მკაცრ დღეებს. წერილის ავტორი აღნიშნავს ფილმის ღირსებას—კომპოზიციის სიმარტივეს, ცალკე სცენების ლირიკულ მომხიბვლელობას, კარგ მუსიკალურ კომპოზიციას. რეცენზენტი სწერს, რომ დ. გამრეკელის მიერ შექმნილი მუსიკალურ-სცენიური სახე ხალხური გმირისა წარმოგვიდგება როგორც კეთილშობილური ძალისა და ვაჟკაცური სილამაზის განსახიერება. მომღერლის მძლავრი, ბგერადი, მომხიბვლელი ტემბრის ხმა ერთგვარად წარმტაცია ლირიკულ არიებსა და გმირულ სცენებში. სასიხარულოა, რომ საერთოდ მაღალ დონეზეა ფილმის მონაწილე ქართველი და უკრაინელი მსახიობების: საქართველოს სსრ სახალხო არტისტის დ. ბადრიძის, უკრაინის სსრ სახალხო არტისტების გრიშკოს, ჩასტის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გრიგორაშვილის, მსახიობების ჯაფარიძის, მიქელაძის და სხვ. შესრულება. კარგად არის დადგმული ცეკვები, ქორეოგრაფიული სცენები. ჩანს რეჟისორების ს. დოლიძისა და დ. რონდელის სერიოზული მუშაობა.

დასასრულ ავტორი აღნიშნავს, რომ „ჯურღაის ფარი“ გამსჭვალულია ნამდვილი ხალხურობით, პატრიოტიზმის გრძნობით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევი მეგობრობის მაღალი იდეით.

## რიონჰესის ათი წლისთავი

# სახელოვანი იუბილე

დღეს რიონჰესის კოლექტივი აღნიშნავს სადგურის ამუშავების 10 წლისთავს.

ათი წლის წინათ რიონჰესის მთავარი საგუბრის კაშხალთან გაბმული წითელი ზონარი გასჭრეს და რიონის წყალი პირველად გაუშვეს რკინა-ბეტონის ახალი კალაპოტით, რათა ვეებერთელა მანქანები აემოქმედებინა და ელექტროენერგია მოეცა. მაშინ მიეკუთვნა რიონჰესს ხალხთა დიდი ბელადისა და მამის ამხანაგ სტალინის სახელი.

რიონჰესმა გააძლიერა საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობა. ღირსშესანიშნავი როლი შეასრულა მზიური საქართველოს სამეურნეო და კულტურული აღმავლობის საქმეში.

ჩვენი კოლექტივი დავაჟკაცდა თვით ამ სადგურის მშენებლობისა და მუშაობის წლებში. აქ ათობით ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც მუშაობენ დღიდან მშენებლობის დაწყებისა. ისინი აქ აღიზარდნენ, აქ დაეუფლნენ ენერგეტიკოსთა სხვადასხვა პროფესიებს, აქ შეისწავლეს რთული ენერგოდანადგარები და ჩასწვდნენ დიდი ჰიდრო-ელსადგურის მუშაობის ყოველ წვრილმანს.

თუ სადგურის მუშაობის პირველ წლებში შედარებით ხშირად ჰქონდა ადგილი დაბრკოლებებს, უკანასკნელ წლებში ასეთმა შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო, ხოლო მიმდინარე წლის მთელი 7 თვის მანძილზე არც ერთ შეფერხებას არ ჰქონია ადგილი. ამას რიონჰესის კოლექტივმა მიაღწია ტექნიკის ასათვისებლად გულდასმითი და ბეჯითი მუშაობით. ჩვენმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საფუძვლიანად შეისწავლეს სადგურის ყველა ნაგებობის თავისებურებანი, მთელი მოწყობილობა. ამიტომ არის, რომ ახლა რიონჰესი სავსებით გამართულად და უავაროდ მუშაობს.

განვლილი ათი წლის მანძილზე რიონჰესის კოლექტივმა ელექტროენერგიის გამომუშავების სახელმწიფო გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. მდინარის მიერ უზრუნველყოფილი სიმძლავრის კოეფიციენტი თანდათან იზრდება და ამჟამად 0,95-ს აღწევს, რაც რიონჰესისათვის, როგორც მარეგულირებელი ჰიდროელსადგურისათვის, მეტად მაღალ მაჩვენებლად არის მიჩნეული. სადგურის საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ელექტროენერგიის ხარჯი წინა წლებში 0,4 პროცენტს აღწევდა, ახლა შემცირებულია 0,2 პროცენტამდე.

რიონჰესის კოლექტივი თვითონვე აწარმოებს სადგურის მოწყობილობისა და დანადგართა კაპიტალურ რემონტს. ამასთან, რემონტისათვის მანქანა-დანადგარების გაცდენის დრო შემცირებულია 30 პროცენტით.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე რიონჰესელებმა საომარ ყაიდაზე გარდაჰქმნეს თავიანთი მუშაობა. ყოველ ჩვენგანს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სადგურის მიერ გამომუშავებული თვითეული კილოვატსაათი ენერგია მტრის თავზე დატეხილი ყუმბარა იყო, რომ ჩვენი ჰიდრო-ელსადგურის გამართული, შეუფერხებელი მუშაობით მხარს დახმარებას გავუწევდით ფრონტზე გმირულად მებრძოლ წითელ არმიას. ამიტომ ჩვენ სამამულო ომის წლებში სოციალისტურ შეჯიბრებას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ, რამაც საგრძნობლად გაგვიადვილა ახალი საწარმოო მიღწევების მოპოვება. ახლა რიონჰესი დამსახურებულად დგას საბჭოთა კავშირის მოწინავე ჰიდროელსადგურთა რიგში. 1942 წელს ჩვენმა სადგურმა ორჯერ მოიპოვა გამარჯვება სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში. 1943 წელს საკავშირო შეჯიბრებაში ორჯერ მოვიპოვეთ მეორე ადგილი, ერთხელ—მესამე ადგილი, ხოლო ხუთჯერ აღინიშნა რიონჰესის კარგი მუშაობა.

წარმატებით მუშაობს ჩვენი სადგურის კოლექტივი მიმდინარე წელსაც. განვლილი ექვსი თვის გეგმა შესრულებული გვაქვს 13,5 პროცენტის გადაჭარბებით, ხოლო ივლისის დავალება — 110,7 პროცენტით. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში გამომუშავებული ელექტროენერგია 26 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაფერის პერიოდში გამომუშავებულ ენერგიას.

რიონჰესის კოლექტივი ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებით, საუკეთესო მემონტაჟეებით, მემანქანეებით, მაღალკვალიფიციური მუშებით. ინჟინრები — გ. კვანტალიანი, ბ. ამაღლობელი, დ. შავგულიძე, ნ. კობახიძე, უფროსი ოსტატი ნ. დოლიძე, ოსტატები ი. ვაშაკიძე, ლ. ორსა, შემკეთებლები—ი. ძიძიგური, ე. ლანჩავა, მორიგეები — მ. ელენტი, რ. წოწონავა, ა. ჭარხალაშვილი, ნ. სანიკიძე და სხვ. რიონჰესის კოლექტივის მოწინავე ადამიანები არიან.

ჩვენი მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ზეიმობენ რესპუბლიკის პირმშოს—სტალინის სახელობის რიონის ჰიდრო-ელსადგურის ათი წლისთავს და კმაყოფილების გრძნობით ავლებენ თვალს მათი შრომისა და შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს როდი სჩვევია მიღწეულზე შეჩერება, თვითკმაყოფილება. რიონჰესის კოლექტივი, რომელიც აღზრდილია დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** მიერ, კვლავ მაქსიმალური ენერგიით იმუშავებს, რათა დააჩქაროს საბჭოთა სამშობლოს ვერაგი მტრების — გერმანელ დამპყრობთა ურდოების განადგურება.

**ლ. გაჩეჩილაძე**
რიონჰესის დირექტორი

# რიონჰესი

> „სურამის უღელტეხილს გამოღმა ლენინური ზაჰესი უკვე მთელი რიგი წლების განმავლობაში უცდიდა თავისი ბევრად უფრო ძლიერი თანამოძმის — სტალინური რიონჰესის დახმარებას“
>
> **ლ. ბერია**

რიონჰესზე რომ დავიწყებთ ლაპარაკს, ზაჰესი მოგვაგონდება. ზაჰესზე ჩამოვარდება სიტყვა და რიონჰესი თვალწინ დაგვიდგება. ზაჰესი და რიონჰესი!

ზაჰესი აღმოსავლეთ საქართველოს მშვენებაა, რიონჰესი — დასავლეთ საქართველოსი.

ზაჰესი და რიონჰესი, ძმებივით შეტყუპებულნი, ერთიმეორესთან მთლიან ენერგეტიკულ ერთეულად გადაჯაჭვულნი აგვირგვინებენ საქართველოს ჰიდროსადგურებს. ზაჰესს და რიონჰესს, როგორც უფროს ძმებს, მიჰყვებიან აბჰესი, აჭარჰესი და მთელი რიგი სხვა უმცროსი თანამოძმენი.

რიონჰესი სტალინური ხუთწლედების ერთ-ერთი შესანიშნავი მონაპოვართაგანი, ჩვენი საკუთარი მარჯვენით ნაგები, მშობლიურ ქარხნებში დამზადებული ტურბინებით, გენერატორებით და ათასგვარი სხვა დანადგარებით მოწყობილი მძლავრი ჰიდროელსადგურია.

1927 წლის ბოლოს ჭომაში რიონზე ბორანი გააკეთეს. გაუკვირდათ ჭომელებს — ვის რათ უნდა აქ ბორანიო, მაგრამ თვითონ არ დააყოვნეს ამ ბორნით სარგებლობა: გადადიოდნენ მდინარის მეორე ნაპირზე და კიბულას წყაროს წყალი გადმოჰქონდათ თუნგებით, ქოკებით. შემდეგ მოვიდნენ ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები, მოიტანეს ჭრელ-ჭრელი ჯოხები, ნიველირები, თეოდოლიტები, ტახეომეტრები. უსაქმოდ დარჩენილი მწვანეყვავილელი ობივატელები, საღამოობით ქალაქის ბაღში რომ გამოდიოდნენ და ერთმანეთს მყუდრო კუთხეში სალაყბოდ ეპატიჟებოდნენ, განცვიფრებული იყვნენ:

— ღმერთმანი, მთის გარღვევა გადაუწყვეტიათ ბოლშევიკებს, ელექტროსადგურს აშენებენ!

რიონჰესის მშენებლობამ თავიდანვე ინდუსტრიული ელფერი მისცა ძველისძველ ქალაქს, უქიმერიონით სახელგანთქმულს, ლამაზსა და ჩვენი პოეტების შთამაგონებელ, შეუდარებელ ქუთაისს. შენდებოდა რიონჰესი, პარალელურად შენდებოდა ახალი ქუთაისი, მდიდრდებოდა ახალ-ახალი საწარმოებით, ტექნიკური ინტელიგენციით, მუშათა კადრებით... ათი წლის წინათ რიონჰესმა მზესავით გააჩირაღდნა ლეღვისა და ბროწეულის, იასამნისა და კვიპაროსის ხეებით დაჩრდილული ქუთაისის ქუჩები, გორაკები, შუკები, მოედნები...

ჩვენ გვიყვარს რიონჰესი — საქართველოს ენერგეტიკული გიგანტი. ეს მისი წვლილიც არის, ელექტრომავლები მსუბუქად რომ მიაქროლებენ ვეებერთელა მატარებლებს, ფეროგიგანტის ალაპლაპებულ ღუმელებში ლითონური შენადნობი რომ დუღს, ფრონტისკენ შეჯავშნული ეშელონები რომ მიისწრაფვიან.

მუდამ მშფოთვარე ფასის-წყლისა და ჯეჯორის, ჭანჭახისა და ლუხუნის, რიცეულისა და კრიხულის, შაორისა და ასკის, ლაჯანურისა და ღვირიშისღელის ერთ მდინარედ გაერთიანებულ ტალღათა ძალა — აი რიონჰესი!

ბოლშევიკებმა მთები გაარღვიეს, ბობოქარი მდინარე რკინა-ბეტონის მარწუხებით შებოჭეს, მის ტალღათა სიმძლავრე ქვეყანას, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ კალაპოტით წარმართეს. ლეგენდარული „ოქროს საწმისის“ მდინარეს სიმკვირცხლე გამოსტაცეს, იგი ოქროს შუქად, „თეთრი ნახშირის“ მძლეთამძლე ძალად აქციეს — აი რიონჰესი!

ჩვენ ვამაყობთ რიონჰესით, ვამაყობთ რიონჰესელებით, ჩვენი მოწინავე ადამიანებით, მათი შრომით, მათი ვარჯით.

მათი შეუფერხებელი, სახელოვანი, გამართული და მაღალნაყოფიერი მუშაობის ათი წლისთავია დღეს.

**დ. ლომთაძე**

# ჩვენ ფიცი დავდეთ

— როცა გერმანელ დამპყრობთა ურდო კავკასიონის მისადგომებს უახლოვდებოდა, შეიქმნა იმის საფრთხე, რომ მტერი შეეცდებოდა ჩვენი სადგურის მუშაობისათვის ხელისშეშლას, მწყობრიდან მის გამოყვანას. მაშინ შევიკრიბენით რიონჰესელები და ფიცი დავდეთ, რომ თავგანწირულად ვიბრძოლებდით ჩვენი მარჯვენით აგებული სადგურის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ამ მიზნით ჩვენ შევასრულეთ მთელი რიგი სპეციალური სამუშაოები, მივიღეთ ყველა საჭირო წინასწარი ზომა, რათა არავითარ შემთხვევაში სადგური არ გამოსულიყო მწყობრიდან.

სამამულო ომის განმავლობაში ჯერ არ ყოფილა ისეთი თვე, რომ ელექტროენერგიის გამომუშავების დავალებები პირნათლად არ შეგვესრულებინა. წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, მომავალში კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობას, მეტი რაოდენობით გამოვიმუშავებთ ელექტროენერგიას ჩვენი სამშობლოსათვის.

**უფროსი მემანქანე რ. წოწონავა**

რიონჰესის მოწინავე ადამიანები. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ტურბინების უფროსი მემანქანე მ. ელენტი, ელექტროსამქროს უფროსი ოსტატი გ. მელნიკოვი, უფროსი მონტიორი ე. ლანჩავა, სამანქანო საამქროს ოსტატი ი. ვაშაკიძე, სამანქანო საამქროს უფროსი ოსტატი ნ. დოლიძე და ტურბინების უფროსი მემანქანე რ. წოწონავა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

# დეპეშები

## მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

**ლონდონი**, 9 აგვისტო (საქტაგი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები ბრეტანში ავიწროებენ რკალს ნავსადგურების სენ-მალოს, ბრესტისა და ლორიანის გარშემო. მოკავშირეთა ჯარების რაზმები ბრძოლებს ეწევიან მოწინააღმდეგესთან 4-5 მილზე ლორიანიდან და ბრესტიდან და სენ-მალოს გარეუბნებში. ლორიანსა და სენ-მალოში ხანძრები მძვინვარებენ; გერმანელები სპობენ ამ ნავსადგურების საწყობებში არსებულ მარაგს. მორტენის გარშემო ბრძოლები ცვალებადი წარმატებით სწარმოებს. გერმანელთა ტანკებისა და ქვეითი ჯარის კონტრიერიშები ჩაიფუშა გატემოსთან, მორტენის ჩრდილო-დასავლეთით. ხუთი გზის კვანძი, ქალაქი გატემო განთავისუფლებულია. მოწინააღმდეგის ნაწილებმა მოკავშირეთა ავიაციისა და არტილერიის მიერ მიყენებული მძიმე ზარალის ფასად დაახლოებით ერთ მილზე შემოაღწიეს ჩვენი ხაზების განლაგებაში. ფრონტის ხაზი ამ რაიონში ახლა გადის გატემო-ვირის გზის გასწვრივ.

მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს ქალაქ ვირის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით მდებარე რაიონებში. მოკავშირეთა შეტევა კანის სამხრეთით გრძელდება. გააფთრებული დაბომბვის შემდეგ მტრის წინააღმდეგობის მრავალი კვანძი, რომლებიც მოკავშირეთა ჯარების ზურგში იყო დარჩენილი, დღის განმავლობაში ლიკვიდირებულია. შეტევა გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მტერი გადამწყვეტ წინააღმდეგობას გვიწევდა ტანკების დახმარებით.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებსა და გარნიზონებს.

**ლონდონი**, 10 აგვისტო (საქტაგი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

ლე-მანი განთავისუფლებულია. მოკავშირეთა ჯარები ანჟერის გარეუბნებში, ლუარის ხეობაში იმყოფებიან. ჩვენ მივაღწიეთ ქალაქ ნანტს; ჩვენი კოლონები ერთდებიან ლორიანთან. ბრეტანის ნახევარკუნძულზე მოკავშირეთა ჯარები ახლა სენ-მალოში არიან, დინარში მტრის ძალები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ.

მოკავშირეებმა წინ წაიწიეს ჩრდილოეთ სანაპირო გზით და გაიარეს მორლე. ბრესტში მტრის გარნიზონმა უარჰყო ულტიმატუმი კაპიტულაციის შესახებ და ქალაქგარეთ ბრძოლები გრძელდება. ბრესტის მახლობლად ტყვედ ჩავიგდეთ გერმანიის 266-ე ქვეითა დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი კარლ შპანგი.

ნორმანდიის ფრონტზე დიდი ცვლილება არ მომხდარა. მაიენის რაიონში აქტიურად მოქმედებენ პატრულები. მოწინააღმდეგე ინარჩუნებს მორტენს, ამ ქალაქის ჩრდილოეთით და დასავლეთით გააფთრებული ბრძოლები, გერმანელთა კონტრიერიში გატემოსთან მოგერიებულია.

მოკავშირეთა ჯარებმა წაიწიეს ფალეზისაკენ, შეიჭრნენ გერმანელთა პოზიციების პირველ და მეორე ხაზებში და მიადგნენ პოტინის გარეუბნებს. მოკავშირეთა სატანკო კოლონებმა მიაღწიეს ესტრე-ლა-კამპანსა და სუენიოლს. ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც მდინარე ორნის პლაცდარმზე მოქმედებენ, 9 აგვისტოს მოიგერიეს მტრის ახალი კონტრიერიშები და უკუაგდეს იგი. უფრო დასავლეთისაკენ დაკავებულია ახალი ტერიტორია მონპენსონის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ესტრისა და ვირს შორის.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი გააფთრებული თავდასხმა მოახდინა მტრის სამხედრო ობიექტებზე.

საზღვაო ძალებმა ბრძოლა გაუმართეს მტრის გემთა რამდენიმე ქარავანს და ჩასძირეს ერთი ხომალდი, რამდენიმე გემი კი დააზიანეს.

**ლონდონი**, 10 აგვისტო (საქტაგი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთში მოქმედი ამერიკელთა ჯარები შევიდნენ ქალაქებში სენ-მალოსა და ნანტში.

# საომარი მოქმედება იტალიაში

**ლონდონი**, 10 აგვისტო (საქტაგი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ ფლორენციის აღმოსავლეთით ინგლისის მე-8 არმიის ნაწილები აწარმოებდნენ ოპერაციებს პონტასიევეს სამხრეთით მდებარე მთებში მტრის წინააღმდეგობის კერების სალიკვიდაციოდ. მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მაღლობები. ბრძოლები გრძელდება. ფრონტის დანარჩენ უბნებზე ოპერაციები წინანდებურად განისაზღვრებოდნენ პატრულთა მოქმედებით.

მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენი ავიაცია გუშინ თავს დაესხა ნავთსახდელ ქარხანას ქალაქ დიერში (უნგრეთი) და აეროდრომებს ვეჩეშსა და ტეკელში (ბუდაპეშტის გარეუბნებში). მოკავშირეთა სხვა თვითმფრინავებმა დაბომბეს რკინიგზის დამხარისხებელი სადგური ბროდში (იუგოსლავია), აეროდრომები, ხიდები და მოწინააღმდეგის სხვა სამხედრო ობიექტები ბრძოლების ზონაში და იუგოსლავიაში. წუხელ მოკავშირეთა ბომბდამშენი ავიაცია თავს დაესხა სამხედრო ობიექტებს პლოეშტში (რუმინეთი).

# გერმანელ ოკუპანტთა ზარალი იუგოსლავიაში

**ჟენევა**, 9 აგვისტო (საქტაგი). სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის ცნობის თანახმად, გერმანელებმა იუგოსლავიაში თავიანთი უკანასკნელი მეშვიდე შეტევის დროს შემდეგი ზარალი მოუვიდათ: მოკლულია 20.500, დაჭრილია 16.000, ტყვედ წაყვანილია 6.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. იუგოსლაველთა ნაწილებმა ხელთ იგდეს: 96 ქვემეხი, 19 ტანკი, 3 თვითმფრინავი, 80 სატვირთო მანქანა, 16.000 შაშხანა, 60 ვაგონი საომარი მასალით, 800 ცხენი. მოსპობილია: 175 ქვემეხი, 108 ტანკი, 37 თვითმფრინავი, 1.400 სატვირთო მანქანა, 94 ორთქლმავალი, 700 ვაგონი და მოწინააღმდეგის 96 სამდინარო გემი.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მე-2 კორპუსის სარდლობა იუწყება, რომ დიდი გამარჯვება მოიპოვეს იუგოსლავიის ძალებმა, რომლებმაც ჩაშალეს გერმანელთა შეტევა ჩერნოგორიაში. ბალკანეთში გერმანელთა ჯარების სარდლის გენერალ ფონ ვაისის იმ ბრძანების თანახმად, რომელიც იუგოსლაველებმა ხელთ იგდეს, ჩერნოგორიაში გერმანელთა შეტევის მიზანი იყო მდინარე ლიმის ხეობის დაკავება. ამ გეგმამ სრული მარცხი განიცადა. მოწინააღმდეგე სასტიკად დამარცხდა. ბრძოლის ველზე აკრეფილია მტრის 1.000-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. 200-ზე მეტი გერმანელი წაყვანილია ტყვედ.

# გადადგა უნგრეთის სამი მინისტრი

**ჟენევა**, 8 აგვისტო (საქტაგი). როგორც უნგრეთის რადიომ გადასცა, გადადგა უნგრეთის „მთავრობის“ სამი მინისტრი — ეკონომიკის მინისტრი იმრედი (ფაშისტური პარტიის „უნგრეთის განახლების“ ლიდერი), აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრი იაროში და ვაჭრობის მინისტრი კუნდერი.

# დაპატიმრებანი ავსტრიაში

**სტოკჰოლმი**, 9 აგვისტო (საქტაგი). შვედური გაზეთი „აფტონტიდნინგენი“ სწერს, რომ 20 ივლისს ღამით გესტაპომ დააპატიმრა მთელი რიგი ავსტრიელი მოღვაწენი. ფიქრობენ, რომ ეს პირები უშუალოდ იყვნენ გარეულნი ჰიტლერზე გერმანელი გენერლების თავდასხმაში და აპირებდნენ აჯანყებისათვის გამოეყენებინათ ეს ამბავი.

## „კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

# „შეუკეთებელი ბინები და უდარდელი ხელმძღვანელები“

„კომუნისტის“ 19 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია—„შეუკეთებელი ბინები და უდარდელი ხელმძღვანელები“, რომელიც ეხებოდა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშათა საერთო საცხოვრებლებში არსებულ მდგომარეობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. რაიკომის ბიურომ წინადადება მისცა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორს ამხ. ს. გიგაურს დაუყოვნებლივ დაამუშაოს ღონისძიებები ზამთრისათვის საერთო საცხოვრებლების მოსამზადებლად, გამოარკვიოს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა, მათი დამთავრების ვადები, საჭირო სამშენი მასალის რაოდენობა და სხვ.

დირექტორის მოადგილეს სამეურნეო ნაწილში ამხ. მაისურაძეს გამოეცხადა საყვედური და მიეცა გაფრთხილება, რომ თუ უახლოეს დროშივე არ გამოასწორებს საქმეს, დასმული იქნება საკითხი სამუშაოდან მისი მოხსნის შესახებ.

ფაბრიკის საერთო საცხოვრებლების გამგეს ამხ. შაუთიძეს თავისი მოვალეობისადმი უდარდელი დამოკიდებულებისათვის გამოეცხადა საყვედური.

# კონსულტაცია

12 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კ. ხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) პროპაგანდისტთა და აგიტატორთათვის შედგება დოცენტ ა. თავაძის კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: „ჰეგელის ფილოსოფიის შეფასება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ“.

# ლექცია

11 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის პარტკაბინეტში (საბჭოს ქ. № 134) საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის შედგება ამხ. მელაძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში“ (1883—1901 წ. წ.).

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

მამა გიორგი, დები თამარ, ეთერ, ძმა მიშიკო, მამიდა ვერა, ბიძა ვანო ოჯახით იუწყებიან, რომ 13/VIII, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ინჟინერ ვალიკო (ვაჟა) ჭიჭინაძის პანაშვიდი.

მშობლები ბიქტორ, ელენე, და გუგული, ძმა რევაზ ჯიბუტები იუწყებიან გიზოს გარდაცვალებას. გამოსვენება 12/VIII, 5 ს. ლენინის, 38.

მშობლები სამუელ, ნინო, ცოლი ნათელა შვილით, დები კახნიაშვილები, სიძე იოსებ ბარბაქაძე იუწყებიან მიტუშა კახნიაშვილის გარდაცვალებას.

დედა ლიზიკო, ძმა გრიშა, დები გოგუცა, ნადია, რძალი თეკლე იუწყებიან ზინა ალექსანდრეს-ასულ დოლიძის გარდაცვალებას.

მოთა და შუშანა ჭანუყვაძეები იუწყებიან აკაკი მგელაძის დედის ქეთოს გარდაცვალებას.

ფარმაკო-ქიმიური ქარხნის მუშაკები პეტროსიანი, ბერიძე, ბაქრაძე, აბაშიძე, კობახიძე, ქრისტესაშვილი, ლალაძე, ცაგარელი, ტურაბელიძე, ბიბურიშვილი იუწყებიან პროფესორ პავლე ილარიონის-ძე ქუმბურიძის გარდაცვალებას.

მატათაშვილების ოჯახი იუწყება ინჟინერ დიმიტრი ვასილის-ძე მატათაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 11/VIII, 6 ს. ჯავახიშვილის, 14.

ქმარი ზაქარია, მამა ივანე, დედამთილი ეკა, დები ნინო, ეკატერინე, მარგარიტა, ძმები ნიკოლოზ, ანდრო, მიშა ცოლ-შვილით იუწყებიან ნატალია ივანეს-ასულ სიმონიშვილი-მგელაძის გარდაცვალებას.

შვილები თამარ, მარო, მიშა, საკო კასიანე გარაყანიძე, რძლები მარგარიტა ფირცხალავა, ანა მგელაძე იუწყებიან ნინო ალექსის-ასულ ცხომელიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/VIII, 7 ს. გამოსვენება 12/VIII, 6 ს. შ. მღვიმელის, 15.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28. | ტირაჟი 21,800

უე 08073